საბჭოს ძირითადი წევრები:

1. გიორგი ხუციშვილი, საბჭოს თავმჯდომარე, კონფლიქტოლოგიის ცენტრი
2. ლელა ქართველიშვილი, საბჭოს კოორდინატორი
3. გია ნოდია, საბჭოს თავმჯდომარე, კავკასიური ინსტიტუტი
4. სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი
5. დავით დარჩიაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
6.. გიგი თევზაძე, ილია ჭავჭავაძის სახ. პროექტის ხელმძღვანელი, განათლების და მეცნიერების სამინისტრო
7. პეტრე მამრაძე, მთავრობის კანცელარიის უფროსი
8. გიგი წერეთელი, საქართველოს პარლამენტი
9. ნაირა გელაშვილი, კავკასიური სახლი
10. ლევან აბაშიძე, ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი
11. პაატა ზაქარეიშვილი, რქსპერტი
12. ბექა მინდიაშვილი, სახალხო დამცველის წარმომდგენელი რელიგიის საკითხებში
13. ნოდარ ლადარია, გაზეთ "24 საათის" პრეს-ომბუდსმენი
14. მერაბ ბასილია, გაერთიანება "ალპე"-ს ხელმძღვანელი
15. პაატა გაჩეჩილაძე, "21 საუკუნე"
16. გიორგი მელაძე, თავისუფლების ინსტიტუტი
17. ნინო ცინცაძე, ჟურნალისტი, "24 საათი"
18. სოფიკო ჯაფარიძე, ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია
19. ემილ ადელხანოვი, კავაკსიური ინსტიტუტი
20. პადრე ჯუზეპე პაზოტო, კათოლიკური ეკლესია
21. მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია
21. დეკანოზი ბასილ კობახიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
22. მღვდელი ზაზა თევზაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
25. ნუგზარ პაპუაშვილი, თეოლოგი
24. პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი, ევანგელური ეკლესია საქართველოში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირები:

ირინა **სულხანიშვილი**	ლელა **ქართველიშვილი**
პროგრამის კოორდინატორი	ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი
hr@iccn.ge	**lela@iccn.ge**

International Center on Conflict and Negotiation

საფოსტო მისამართი:
ს/ყ 38, თბილისი, 0179, საქართველო

ივ. მაჩაბლის 5,
თბილისი, 0105, საქართველო

ტელეფონები:
+995 (32) 999-987; +995 (32) 923-920
ფაქსი: **+995 (32) 939-178**
ელ. ფოსტა: **iccn@iccn.ge**

www.iccn.ge

პროექტების, აქტივობების, რუკების, პუბლიკაციებისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ჩვენი საიტი

2006 წ.

რას წარმოადგნეს სამოქალაქო საბჭო

2004 წლის 27 იანვარს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (კონფლიქტოლოგიის ცენტრი) ინიციატივით დაარსდა სამოქალაქო საბჭო ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სამოქალაქო საბჭო წარმოადგენს არარეგისტრირებულ კავშირს, რომელშიც ნებაყოფლობით არიან გაერთიანებულნი იურიდიული თუ ფიზიკური პირები. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საბჭოს დებულების შესაბამისად (საბჭოს დებულება და სხვა დოკუმენტებით იხილეთ საბჭოს ვრბ-გვერდზე www.normal.ge).

საბჭოს მიზანი

სამოქალაქო საბჭოს უმთავრესი მიზანია განავითაროს და გააძლიეროს საზოგადოებაში კანონის უზენაესობა. საბჭო დაყოფილია 3 კომიტეტად: იურიდიულ, საგანმანათლებლო და მედიასთან ურთიერთობის კომიტეტებად, ხოლო წევრები გაერთიანებულნი არიან კომიტეტებში საკუთარი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

საბჭოს ისტორია

2003 წლის 21 თებერვალს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა მოძრაობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ (MARIG), როგორც საპასუხო ნაბიჯი იმ კრიმინალურ ქმედებებზე, რომლებსაც ვასილ მკალავიშვილი და მისი მიმდევრები ახორციელებდნენ რელიგიური უმცირესობების მიმართ.. მოძრაობის წევრები გახდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და ხელოვნების წარმომადგენლები.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, გაიხსნა კომუნიკაციის ახალი გზები როგორც მთავრობასთან, ისე მთელს საზოგადოებასთან. ნათელი გახდა, რომ საჭიროა მოძრაობის რეორგანიზება უკანასკნელის მუშაობის ეფექტურობის გაძლიერების მიზნით. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა აზრი დაარსდეს სამოქალაქო საბჭო ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

საბჭოს მუშაობის ძირითადი მიმართულებები

რეგიონალური აქტივობები

სამოქალაქო საბჭო დაარსების-თანავე აქტიურ როლს თამაშობდა საზოგაოდებრივ სფეროში. საბჭო სწრაფად რეაგირებდა საზოგადო-ებაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე, ოპერატიულად ამზადებდა პრეს-რელიზებს, აწყობდა შეხვედრებს საზოგადოების წარმოამდგენლებთან, მედიასთან და რელიგიური მიმდინარეობების ლიდერებთან. 2004 წელი განსაკუთრებით გამოირჩე-ოდა სამოქალაქო აქტიურობით. რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საბჭო რეგულარულად აწყობდა გასვლით სემინარებსა და კონფერენციებს რეგიონებში და ადგილზე ამოწმებდა ტოლერანტობის მდგომარეობას.

საგანმანათლებლო საქმიანობა

კონლფიქტოლოგიის ცენტრის ეგიდით, სამოქალაქო საბჭო სისტემატურად მასპინძლობს მოწვეულ ლექტორებს და მართავს უცხოელი ექსპერტების ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე როგორიც არის ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, დემოკრატიზაცია, და ა. შ.

ინტერ-რელიგიური ტრენინგი

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის და კონფლიქტოლოგიის ცენტრის ხელშეწყობით ჩატარდა ტრენინგების სერია ტოლერანტობის თემასე. აღსანიშნავია, რომ ტრენინგს ესწრებოდნენ საქართველოში წარმოდგენილი რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები: პროტესტანტები, კათოლიკეები,მუსლიმები, იეზიდები, მართლმადიდებლები, ორმოცდაათიანელები და სხვა. ტრენინგს უძღვებოდა ღირსი დენიელ ბათრი, გამოცდილი ექსპერტი რელიგიის საკითხებში (აშშ).

"საქართველოს რელიგიების" გაცნობა: საბჭოს ერთ-ერთი ინიციატივა

იმისათვის რომ ფართო საზოგადოებან უკეთ გაიცნოს ქვეყანაში მცხოვრების რელიგიური უმცირესობების რელიგია, კულტურა თუ ტრადიციები, საბჭო გამოვიდა "საქართველოს რელიგიების" პრეზენტაციებიბის ციკლის მოწყობის იდეით. პრეზენტაცია გულისხმობს როგორც მოხსენებით, ისე ვიზუალურ ნაწილს(ფოტო გამოფენებს და ა.შ). აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციები მიმართული იქნება ფართო აუდიტორიაზე და ახალგაზრდებზე. სწორედ ამ გზით = რელიგიური მიმდინარეობების შესახებ რეალური ინფორმაციის გავრცელებით - შესაძლებელი იქნება საზოგადოებაში უმცირესობების მიმართ მტრული დამოკიდებულების და შეუმწყნარებლობის დაძლევა.

კონლფიქტოლოგიის ცენტრის და საბჭოს როლი ახალი ინიციატივის მხარდაჭერის პროცესში:

კონფლიქტოლოგიის ცენტრმი და საბჭო მიესალმებიან ნებისმიერ ახალ ინიციატივას, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში სამოქალაქო საზოგადოების და ტოლერანტობის მშენებლობას. სწორედ ამიტომ ითამაშა საბჭომ საკმაოდ სერიოზული როლი "ქრისტიან ქალთა ინტერ-რელიგიური ცენტრის" ჩამოყალიბებაში. ეს ცენტრი წარმოადგენს გაერთიანებას, რომელშიც თავი მოიყარეს საქართველოში არსებული ქრისტინული მიმდინარეობების წარმომადგენლება.